ადრესატი:

ნუგზარ ჯამბურია
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**63-63232778**
თარიღი: **04/10/2023**

ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მოგახსენებთ, რომ გახლავართ ეწერ-მელაურის ადმინისტრაციული ერთეულის გაერთიანებული თემის წარმომადგენელი სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში. ასევე გახლავართ საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

წარმოგიდგენთ მიმდინარე წლის 1იანვრიდან 1 ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს.

საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მივიღე საკრებულოს 9 სხდომაში(მათ შორის 2 რიგგარეშე), ჩატარდა ბიუროს 19 სხდომა. ასევე ჩემი უშუალო ჩართულობით ჩატარდა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის 9 სხდომა. აქედან ოთხი ჩატარდა გაერთიანებული შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიასთან. გახლავართ საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის წევრი, ჩატარდა 7 სხდომა.

გახლავართ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებული თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთებზე, საკუთრების უფლების აღიარების კომისიის წევრი. (ჩატარდა კომისიის 3 სხდომა). ასევე ვარ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული პირის, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების(ყოფნის) ფაქტის დამდგენი, კომისიის წევრი. ჩატარდა კომისიის 5 სხდომა; ასევე გახლავართ გენდრული თანასწორობის საბჭოს წევრი, აქტიურად ვარ ჩართული საბჭოს საქმიანობაში, განხორციელებულ პროექტებსა და ტრენინგებში.

წარმოგიდგენთ, ეწერ-მელაურის თემში მიმდინარე წელს შესრულებულ სამუშაოებს:

მელაური:

1. სოფელ მიწაბორაზე აშენდა წმიდა პანტელეიმონ მკურნალის სახელობის ტაძარი.
2. ასფალტ-ბეტონი გზა დაიგო მიწაბოგირის მე-7 ქუჩაზე.
3. ასფალტ-ბეტონის გზა დაიგო მიწაბოგირის მე-9 ქუჩაზე I ჩიხში.
4. სოფელ ხიბლარში ასფალტ-ბეტონის გზა დაიგო ცურტაველის ქუჩიდან ქალაქის მიმართულებით.
5. სოფლის პროგრამით მიწაბოგირის მე-11 ქუჩაზე მოეწყო მოსასვენებელი სკვერი.
6. მელაურის ადმინისტრაციულ ერთეულში გარემონტდა ამბულატორიის შენობა-ნაგებობა.
7. მელაურში მოეწყო სანიაღვრე არხი.
8. მელაურის საჯარო სკოლის დარბაზი გადაიხურა მთლიანად და სკოლის შენობა

ნაწილობრივ.

9. მელაურის ადმინისტრაციულ ერთეულში აქტიურად მიმდინარეობს ფაროსანების შეწამვლა.

10. მელაურის ადმინისტრაციულ ერთეულში წითელი ჯვრის ორგანიზებით მოხდა ექიმების ბრიგადის ჩამოყვანა, რათა სხვადასხვა სახის კვლევები ჩაეტარებინათ ადგილობრივი მოსახლეობისათვის.

11. ლევან ადეიშვილის თვალის კლინიკაში გადაყვანილი იქნა ადგილობრივი მოსახლეობა,კვლევების ჩასატარებლად.

12. დაიწყო მელაურის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე მდებარე სტადიონის მოსამზადებელი სამუშაოები.

13. სოფელ ხიბლარში, მდინარე ჭურთავაზე მდებარე ხიდ-ბოგირის რეაბილიტაცია.

14. მელაურის ადმინისტრაციულ ერთეულში გაიცა სოციალური დახმარება 36135 ლარი.

ეწერი:

1. პატარა ეწერში მოეწყო სტადიონი და საბავშვო ატრაქციონი.
2. სოფელ ოჭოფაში შეიღობა სკვერი მავთულბადით.
3. სოფელ გვიმრალას საბავშვო ბაღში ჩაისვა მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრები.
4. სოფელ კეჭინარში გაიწმინდა და მოეწყო სანიაღვრე არხები .
5. სოფელ ჯიქთუბანში აშენდა მგზავრთა მოსაცდელი და დამონტაჟდა საბავშვო ატრაქციონი.
6. სოფელ ახალსოფელში მიმდინარეობს წინა სარეაბილიტაციო სამუშაოები საბავშვო ატრაქციონების დასამონტაჟებლად.
7. ეწრის ადმინისტრაციულ ერთეულში გაიცა სოციალური დახმარება 28641ლარი.

მერაბ უღრელიძე

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი